

„ქართული ოცნების“ რეპრესიები საჯარო სამსახურში

ძირითადი მიგნებები	3
შესავალი	4
მეთოდოლოგია	5
საკანონმდებლო ცვლილებები - რეპრესიული წესები და საჯარო სამსახურის რეფორმის გაუქმება	6
საჯარო მოხელეების რეპრესიების ფაქტები და ტენდენციები	13

- „ქართული ოცნების“ მიერ ქვეყანაში არსებული საპროტესტო ტალღის დათრგუნვის მცდელობებიდან ერთ-ერთი მთავარი მიმართულება **საჯარო სამსახურის სრულად პარტიის დაქვემდებარებაში მოქცევაა**. „ქართულმა ოცნებამ“ **ბოლო სამ თვეში ოთხჯერ დააინიცირა** „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში **რეპრესიული ცვლილებები**. მნიშვნელოვნად გააუარესა საჯარო მოხელეთა სამართლებრივი დაცვა და ფაქტიურად გააუქმა საჯარო სამსახურის რეფორმა, რომელიც წლების განმავლობაში ხორციელდებოდა საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით და ქვეყნის ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის აუცილებელი წინაპირობა იყო;
- **საჯარო მოხელეების სამართლებრივი დაცვის გარანტიები გაუქმდა**: შუარგოლის მენეჯერების გათავისუფლებისთვის არანაირი სამართლებრივი დასაბუთების არსებობა აღარ არის საჭირო და სამი დღით ადრე გააფრთხილებენ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ; მნიშვნელოვან თანამდებობებზე უკონკურსოდ დანიშვნის წესი დაბრუნდა; რეორგანიზაციის წესი გამარტივდა და იმ შემთხვევაშიც თუ პირი უკანონოდ გაუშვეს რეორგანიზაციის გამო, განაცდურის მხოლოდ ერთი თვე აუნაზღაურდება; დიპლომატიურ სამსახურში მყოფი პირები აღარ მიიჩნევიან უვადოდ დანიშნულ საჯარო მოხელეებად და გათავისუფლდებიან მინისტრის გათავისუფლების შემდეგ;
- **რეპრესიები უკვე შეეხო ათობით საჯარო უწყებაში მომუშავე 700-მდე თანამშრომელს**, მათ შორის: საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, იუსტიციის სახლს, პრობაციის ეროვნულ სააგენტოს, თბილისის მერიასა და მის დაქვემდებარებულ სსიპ-ებს, თავდაცვის სამინისტროს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (ცესკო), სილნალის, ლაგოდებისა და ადიგენის მუნიციპალიტეტებს, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, მთავრობის ადმინისტრაციას, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, საქართველოს პარლამენტის კვლევით ცენტრსა და საჯარო სამსახურის ბიუროს. ამ უწყებებში, ძირითადად **რეორგანიზაციის, ხელშეკრულების ვადის ამოწურვის ან სხვა ფორმალური მიზეზებით, გაათავისუფლეს ან თანამდებობიდან გადააყენეს ის თანამშრომლები, რომლებმაც ხელი მოაწერეს საპროტესტო განცხადებებს ევროინტეგრაციის შეჩერების თაობაზე, ან ღიად გამოხატეს თავიანთი კრიტიკული პოზიცია ხელისუფლების პოლიტიკის მიმართ**;
- რეპრესიული საკანონმდებლო ცვლილებები, ასევე, მიზნად ისახავს **ხელოვნების და აკადემიური სივრცის კონტროლს**. საკანონმდებლო ცვლილებებით პროფესიული თეატრების შემოქმედებით გუნდებს წაერთვათ თეატრის დირექტორის შერჩევაში მონაწილეობის შესაძლებლობა და დირექტორებს საკუთარი შეხედულებით დანიშნავს და გაათავისუფლებს მინისტრი ან მერი. საჯარო მოხელეები სამეცნიერო, პედაგოგიურ და შემოქმედებით საქმიანობას მხოლოდ შესაბამისი დანესებულების ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობის საფუძველზე შეძლებენ.

2024 წლის 28 ნოემბერს ირაკლი კობახიძის [განცხადებამ](#) **ევროკავშირთან განვრიანების მოლაპარაკებებს 2028 წლამდე შეჩერების შესახებ** მასიური პროტესტი გამოიწვია მთელ საქართველოში. პროტესტს **საჯარო მოხელეებიც შეუერთდნენ** და გაავრცელეს არაერთი [განცხადება](#), რომლითაც ემიჯნებოდნენ ევროკავშირში ინტეგრაციის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას და გმობდნენ მშვიდობიანი მომიტინგეების მიმართ არაპროპორციული ძალის გამოყენებას.

საჯარო მოხელეების პროტესტს მოჰყვა ირაკლი კობახიძის განცხადება, რომელიც **„სათანადო რეაგირებით“** [დაემუქრა](#) იმ საჯარო მოხელეებს, რომლებმაც ევროინტეგრაციის პროცესის შეჩერების თაობაზე საპროტესტო განცხადებას მოაწერეს ხელი, ხოლო თბილისის მერმა კახა კალაძემ, მერიის თანამშრომლების მიერ გავრცელებულ კრიტიკულ პეტიციას **„სახელმწიფო გადატრიალების და უწყებების ჩამოშლის მცდელობა“** უწოდა და [დაიმუქრა](#), რომ საბოტაჟის მცდელობა არ დარჩებოდა პასუხგაუცემელი.

ამ მოვლენების შემდეგ „ქართული ოცნების“ მიერ ქვეყანაში არსებული საპროტესტო ტალღის დათრგუნვის მცდელობებიდან ერთ-ერთი მთავარი მიმართულება საჯარო სამსახურის სრულად პარტიის დაქვემდებარებაში მოქცევა გახდა. ამ მიზნისთვის „ქართულმა ოცნებამ“ რეპრესიის ხელშემწყობი კანონები მიიღო და პარალელურად, დაიწყო იმ საჯარო მოსამსახურეების გათავისუფლება, რომლებიც ქვეყნის ევროპული გზიდან გადახვევის გამო პროტესტს საჯაროდ გამოხატავდნენ.

ახალი, რეპრესიული კანონების მიღება პროტესტის დაწყების მომენტიდან დაიწყო და მას შემდეგ უწყვეტად გრძელდება, **„ქართულმა ოცნებამ“ 2024 წლიდან დეკემბრიდან დღემდე, უკვე ოთხჯერ** შეიტანა ცვლილებები „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში, რომელიც საჯარო მოხელეების უფლებრივ მდგომარეობას მნიშვნელოვნად აუარესებს. ეს მხოლოდ დასაწყისია საჯარო მოსამსახურეთა უკანონო გათავისუფლების, რადგან **რეპრესიული კანონმდებლობით „ქართულმა ოცნებამ“ შეიქმნა ნიადაგი საჯარო მოხელეების მიმართ ფართომასშტაბიანი სადამსჯელო ზომების გასატარებლად, რაც მათი შრომითი უფლებების შელახვაში გამოიხატება, ხოლო მიზანი საჯარო სამსახურში პროტესტის ყველა სახის გამოვლინების დათრგუნვაა.**

2024 წლის დეკემბრიდან დღემდე არასრული ინფორმაციით 700-ზე მეტი საჯარო მოხელე [გათავისუფლდა](#) სხვადასხვა უწყებიდან პოლიტიკური მოტივით,¹ დაიხურა ორი სტრუქტურა: საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი და საჯარო სამსახურის ბიურო.

საჯარო მოხელეთა რეპრესიული გათავისუფლებების, პროევროპული საპროტესტო დემონსტრაციებისა და საჯარო სამსახურის კანონში შეტანილი ცვლილებების პარალელურად, საჯარო მოსამსახურეებმა 2024 წლის 11 დეკემბერს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი კონსტიტუციის 78-ე მუხლი [დააფუძნეს](#), თუმცა პროფესიული კავშირის რეგისტრაციას ამ დრომდე [ხელოვნურ ბარიერებს უქმნის](#) იუსტიციის სახლი.

საქართველოში საჯარო მოხელეების მასობრივი გათავისუფლების გამო გაეროს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას მიმართეს „საჯარო მოსამსახურეთა დამოუკიდებელი პროფკავშირმა - კონსტიტუციის 78-ე მუხლმა“ და „სოციალური სამართლიანობის ცენტრმა“. მათ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას [მოუწოდეს](#), შექმნას საგამოძიებო კომისია საქართველოში საჯარო მოხელეთა მასობრივ გათავისუფლებასთან დაკავშირებით. საჯარო მოხელეთა შრომითი უფლებების დარღვევის გამო შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას ასევე მიმართა [საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებამ](#).

¹ გათავისუფლებულ საჯარო მოხელეთა რაოდენობა ყვრდნობა საჯარო მოხელეების დამოუკიდებელი პროფკავშირის მიერ მოწოდებულ და საჯარო წყაროებში გავრცელებულ ინფორმაციას და იმ შემთხვევებს, როდესაც უფლებადარღვეულმა საჯარო მოსამსახურეებმა უშუალოდ მიმართეს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“.

წინამდებარე პუბლიკაციაში აღვწერთ საჯარო სამსახურის შესახებ კანონში „ქართული ოცნების“ მიერ გატარებულ ცვლილებებს და მათგან მიმდინარე საფრთხეებს. გარდა ამისა, წარმოდგენილია ინფორმაცია იმ რეპრესიებისა და ტენდენციების შესახებ, რომლებიც მიმდინარეობს ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა საჯარო დაწესებულებაში. დოკუმენტი ეყრდნობა საჯაროდ გავრცელებულ ინფორმაციას და იმ შემთხვევებს, როდესაც უფლებადარღვეულმა საჯარო მოსამსახურეებმა უშუალოდ მიმართეს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ან საჯარო მოხელეების დამოუკიდებელ პროფკავშირს. შესაბამისად, გათავისუფლებულ საჯარო მოხელეთა შესახებ მონაცემები არ არის სრული და მათი რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება.

საკანონმდებლო ცვლილებები - ჩაქრისიული წესები და საჯარო სამსახურის რეფორმის გაუქმება

„ქართულმა ოცნებამ“ საპროტესტო აქციების დაწყების შემდეგ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი მეოთხედ შეცვალა: პირველი ცვლილებები დეკემბერში, 5 დღიანი განხილვის შემდეგ, დაჩქარებული წესით მიიღეს, მეორე ცვლილებები — ასევე დაჩქარებული წესით 6 თებერვალს. მესამე ცვლილებებს 2025 წლის 20 თებერვალს დაუჭირეს მხარი. მეოთხე ცვლილებებს 2025 წლის 1 აპრილს დაუჭირეს მხარი.

ახალი წესები არსებითად აუარესებს საჯარო მოსამსახურეების უფლებებს, და ემსახურება საჯარო სამსახურის „ქართული ოცნებისთვის“ საბოლოო დაქვემდებარებას.

საჯარო მმართველობის რეფორმა და ანგარიშვალდებული, ეფექტიანი, ქმედითი, გამჭვირვალე და პროფესიონალური საჯარო სამსახურის რეფორმა საქართველო ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ნაწილს წარმოადგენდა და საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე აუცილებელი პირობა იყო.²

საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელება საქართველოში 2012 წელს დაიწყო, ხოლო 2015 წლიდან მთავარ პრიორიტეტად/მიზნად განისაზღვრა ეფექტური და ეფექტიანი საჯარო მმართველობის უზრუნველყოფა, როგორც გამართულად ფუნქციონირებადი სახელმწიფოს ძირითადი დასაყრდენი”.³

2017 წლის 1 ივლისს ამოქმედდა საჯარო სამსახურის შესახებ ახალი კანონი, რომლის ძირითადი მიზანი საჯარო მოხელეთა კარიერული წინსვლისა და დამსახურებაზე დაფუძნებული საჯარო სამსახურის მხარდაჭერა იყო. ამ კანონით განმტკიცდა საჯარო სამსახურის სტაბილურობის გარანტიები და დაინერგა საჯარო მოხელის შეფასების სისტემა.

აღსანიშნავია, რომ „საჯარო სამსახურის სისტემის გაუმჯობესება/საჯარო სამსახურში არსებული ადამიანური კაპიტალის განვითარება და მართვის ინსტრუმენტების დახვეწა“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით „ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ გათვალისწინებული ვალდებულებაც იყო.

საკანონმდებლო ცვლილებებმა აზრი დაუკარგა საჯარო სამსახურის რეფორმას, რომელიც არაერთი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით.

კანონში შეტანილი ცვლილებებიდან, განსაკუთრებით შემაშფოთებელი შემდეგი საკითხებია:

- შუა რგოლის თანამდებობის პირები აღარ ჩაითვლებიან უკიდურესად დანიშნულ საჯარო მოხელეებად და ხელმძღვანელის შეცვლასთან ერთად გათავისუფლდებიან

რეპრესიულმა კანონებმა გააუქმა შუა რგოლის მენეჯერების სამართლებრივი დაცვის გარანტიები საჯარო სამსახურში. მათი გათავისუფლებისთვისაც არანაირი სამართლებრივი დასაბუთების არსებობა აღარ არის საჭირო.

² ასოცირების შეთანხმება ევროკავშირისა და საქართველოს შორის, მუხლი 4, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2953552?publication=0>

³ საჯარო მმართველობის რეფორმის სტრატეგია 2023-2026, გვ. 2. იხ.: <https://shorturl.at/lrXxN>

პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები (დეპარტამენტის და სამსახურის მოქმედი უფროსები) და მათი მოადგილეები აღარ ჩაითვლებიან უვადოდ დანიშნულ საჯარო მოხელეებად. ცვლილებებამდე ისინი კონკურსის წესით, უვადოდ ინიშნებოდნენ და წარმოადგენდნენ პროფესიულ საჯარო მოხელეებს. ეს წესი ასევე ვრცელდება მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირებსა და მერიის სსიპ-ების ხელმძღვანელებზე.

კანონის ამოქმედების შემდეგ, პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს შრომის პირობები შეეცვალათ და უვადოდ დანიშნულებად აღარ ითვლებიან, მათი საქმიანობის ვადა დამოკიდებული იქნება ამ დაწესებულების ხელმძღვანელის ვადაზე.

ყოველ ჯერზე უწყების ხელმძღვანელის/მინისტრის შეცვლის შემთხვევაში შუა რგოლის მენეჯერები დატოვებენ თანამდებობას და ახალი ხელმძღვანელი აღნიშნულ პოზიციაზე მისთვის სასურველ პირებს მოიყვანს, რომელთაც უკონკურსოდ, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დანიშნავს. ამის შემდეგაც, თუკი ხელმძღვანელი/მინისტრი გადაწყვეტს დეპარტამენტის უფროსი ან შუა რგოლის სხვა მენეჯერი თანამდებობიდან გაათავისუფლოს, ამისათვის არ დაჭირდება გადაწყვეტილების დასაბუთება. 2024 წლის 13 დეკემბრის ცვლილებებით მხოლოდ ერთი თვით ადრე წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება დაწესდა. 2025 წლის თებერვალში ამ მუხლში კვლავ შევიდა [ცვლილება](#) და **სამი დღით ადრე გაფრთხილება** და ორი თვის კომპენსაციის ვალდებულება დადგინდა.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2017 წლის 17 ოქტომბერს მიღებულ გადაწყვეტილებასთან საქმეზე [„ოლეგ ლაცაბიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“](#). ამ გადაწყვეტილებაში სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო მუნიციპალიტეტის ახალი მერის არჩევისას სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა უფლებამოსილების ავტომატური შეწყვეტა. სასამართლოს განმარტებით, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის პოზიციაზე მუშაობა მოითხოვს პროფესიულ კომპეტენციას, სამუშაო გამოცდილებას, პიროვნულ თვისებებს და სხვა უნარებს, რომლებიც საჭიროა დაკისრებული მოვალეობების ეფექტურად შესასრულებლად. სასამართლომ ასევე უარყოფითად შეაფასა ის ფაქტი, რომ ახალი მერის არჩევისას სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს უფლებამოსილება უწყდებოდა ავტომატურად, ახლადარჩეულ მერს კი არ ეძლეოდა შესაძლებლობა შეეფასებინა ამ პირის კომპეტენცია და უნარები.

ცვლილებები საფრთხის შემცველია საჯარო სამსახურის განვითარებისთვისაც პროფესიული და კარიერული თვალსაზრისით. საჯარო მოხელეებს აღარ ექნებათ საჯარო სამსახურში დანიშნულების მოტივაცია, რადგან როგორც კი მიაღწევენ საჯარო სამსახურში შუა რგოლის მენეჯერულ თანამდებობებს მათი სამართლებრივი გარანტიები უქმდება და მინისტრის ნება-სურვილზე იქნება დამოკიდებული მათი თანამდებობაზე ყოფნა. *აღსანიშნავია, რომ საჯარო სამსახურში მენეჯერულ პოზიციაზე მყოფ პირებს აქვთ დაგროვილი ცოდნა და ინსტიტუციური მეხსიერება, რომელიც მნიშვნელოვანია ნებისმიერი დაწესებულების ნორმალურად ფუნქციონირებისათვის. აღნიშნული თანამდებობების პირების ხშირი ცვლა უარყოფითად აისახება საჯარო სამსახურის ეფექტურ საქმიანობაზე.*

• საჯარო სამსახურში მნიშვნელოვან თანამდებობებზე უკონკურსოდ დანიშვნის წესი დაბრუნდა

კანონის ცვლილებებამდე საჯარო სამსახურში შუა რგოლის მენეჯერები (მაგ. დეპარტამენტების, სამსახურების, სსიპ-ების უფროსები და მათი მოადგილეები) თანამდებობაზე კონკურსის წესით ინიშნებოდნენ.

ახალი კანონით კონკურსის ჩატარება აღარ არის გათვალისწინებული და აღნიშნულ თანამდებობებზე პირებს ადმინისტრაციული ხელშეკრულებით უკონკურსოდ დანიშნავენ. 2024 წლის დეკემბრის ცვლილებებით, არანაირი კრიტერიუმი არ იყო დადგენილი ამ პირების თანამდებობაზე დასანიშნად. 2025 წლის თებერვლის ცვლილებებით კრიტერიუმად მხოლოდ 18 წლის ასაკის მიღწევა და სახელმწიფო ენის ცოდნა განისაზღვრა.

ამრიგად, საჯარო სამსახურის ისეთი უმნიშვნელოვანესი პოზიციების, როგორებიცაა სამსახურების, დეპარტამენტების, სსიპ-ების უფროსები და მათი მოადგილეების უკონკურსოდ დანიშნას, გათავისუფლებას და თანამდებობაზე ყოფნის ვადას წყვეტს მათი უშუალო ხელმძღვანელი პოლიტიკური თანამდებობის პირები (მაგ. მინისტრები), რაც ნიშნავს, რომ ეს თანამდებობები სრულად პოლიტიზირებული გახდება და დაკომპლექტდება მმართველი პარტიის მიმართ ერთგულების ნიშნით.

2025 წლის 1 აპრილს „ქართულმა ოცნებამ“ მხარი დაუჭირა “საჯარო სამსახურის შესახებ” კანონის [ცვლილებებს](#) და უკონკურსოდ დანიშვნის წესი სსიპ-ის ხელმძღვანელების მოადგილეებზეც გაავრცელა.

ახალი წესები ეწინააღმდეგება საჯარო სამსახურის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს - დამსახურებაზე დაფუძნებულ საჯარო სამსახურს, რაც გულისხმობს შემდეგს: მოხელის სამსახურში მიღების შესახებ გადაწყვეტილება და მის კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული სხვა გადაწყვეტილება მიუკერძოებლად უნდა იქნეს მიღებული და უნდა ეფუძნებოდეს მოხელის კომპეტენციისა და სამუშაოს შესრულების უნარის სამართლიან და გამჭვირვალე შეფასებას, რომლის მიზანია საუკეთესო კანდიდატის შერჩევა.⁴

• საჯარო მოხელეების თანამდებობიდან გათავისუფლება მარტივდება

კანონით შეიცვალა საჯარო მოხელის შეფასების წესი და გამარტივდა უარყოფითი შეფასების გამო საჯარო მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლება.

რეპრესიული საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედებამდე საჯარო მოხელეს წელიწადში ერთხელ აფასებდა მისი უშუალო ხელმძღვანელი. ორი უარყოფითი შეფასება საჯარო მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი იყო.

ახალი კანონით საჯარო მოხელეს წელიწადში ერთის ნაცვლად, 2-ჯერ შეაფასებენ. 2 უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, მას ორი წლის ნაცვლად ერთ წელიწადში დაატოვებინებენ სამსახურს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ საჯარო მოხელის უშუალო უფროსის შეფასება დაწესებულების უფროსს შეუძლია შეცვალოს. რაც შეიძლება საფუძველი გახდეს ამ პირის გათავისუფლების ან მისთვის ხელფასის 20% დაქვითვის.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების ხელმძღვანელს არ აქვს ვალდებულება დაასაბუთოს თუ რატომ შეცვალა შეფასება. საჯარო სამართლის რეფორმის ერთ-ერთ მიღწევად შეფასების გამჭვირვალე სისტემის დანერგვა იყო მიჩნეული, რადგან საჯარო სამსახურში კარიერული განვითარება უნდა ემყარებოდეს შეფასების სამართლიან სისტემას და სხვა მექანიზმებზე დაფუძნებულ პროფესიულ განვითარებას.

⁴ კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხლი 11. იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3031098?publication=58>

აღნიშნული ცვლილებით, **შეფასების სისტემის სამართლიანობა და გამჭვირვალობა უქმდება და იგი რეპრესიების იარაღად იქცევა.** თუკი ახალი უწყების ხელმძღვანელი შეეცდება მისთვის არასასურველი პირების სამსახურიდან გაშვებას, მისთვის უშუალო ხელმძღვანელის შეფასება დაბრკოლება აღარ იქნება და მას მარტივად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე შეცვლის. შეცვლილი შეფასებების შედეგად კი, ერთ წელში გაუშვებს კვალიფიციურ კადრს სამსახურიდან.

• საჯარო სამსახურში რეორგანიზაცია მარტივდება და რეპრესიის ინსტრუმენტად იქცევა

შემთხვევითი არ იყო, რომ თბილისის მერი, კახა კალაძე, პროევროპული პროტესტისადმი სოლიდარულ მერიის თანამშრომლებს შემდეგნაირად **გამოეხმაურა:** „ველოდებოდი კიდევ, რადგან რეორგანიზაცია გვაქვს გამოცხადებული და ბევრი ცვლილება იგეგმება“. დეკემბერი-იანვრის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად საჯარო მოსამსახურეთა შრომითი უფლებები რეორგანიზაციის პროცესში კიდევ უფრო დაუცველი გახდა. ცხადია ეს იცოდა თბილისის მერმა და არც დაუმალავს, რომ მის გამოყენებას აპირებს.

დანესებულების რეორგანიზაცია კანონმდებლობის მიხედვით გულისხმობს საჯარო დანესებულების ინსტიტუციური მოწყობის შეცვლას, რის შედეგადაც მიიღება საჯარო დანესებულების ნაწილობრივ ან მთლიანად ახალი სტრუქტურა. რეორგანიზაციად ითვლება აგრეთვე საჯარო დანესებულების შტატების გადაადგილება ან/და შემცირება. კეთილსინდისიერად გამოყენების შემთხვევაში, რეორგანიზაცია საჯარო მმართველობის საჭირო ინსტრუმენტია, თუმცა როდესაც საჯარო სამსახურის სისტემის ნეიტრალურობა ეჭვის ქვეშაა, მაღალია მისი საჯარო მოსამსახურეების რეპრესიის მიზნებისთვის გამოყენების ალბათობა, რისი პრაქტიკაც საქართველოში მრავლად არსებობს.

ამ რისკებს გარკვეულწილად აზღვევდა კანონის ვალდებულება, რომლის თანახმადაც რეორგანიზაციის შედეგად მოხელის გათავისუფლების შემთხვევაში მოსამსახურეს დამატებით შრომითი უფლებების დაცვის გარანტიებს უქმნიდა. საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ მთელი რიგი ასეთი გარანტიებისა გაუქმებული ან გაუარესებულია, კერძოდ:

- ▶ რეორგანიზაციის დროს შტატების შემცირების საფუძვლით სამსახურიდან გათავისუფლებული საჯარო მოხელე საქმის სასამართლოში მოგების შემდეგაც სამსახურში აღარ აღადგენენ;
- ▶ საჯარო დანესებულების რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება, რეორგანიზაციის პროცესში ან/და ამ პროცესთან დაკავშირებით მიღებული რომელიმე გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას;
- ▶ რეორგანიზაციის შედეგად გათავისუფლებული საჯარო მოხელე ვერ ისარგებლებს მობილობით. მობილობა გულისხმობს მოხელის იმავე ან სხვა საჯარო დანესებულებაში მისი თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე გადაყვანას, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას - დაბალ თანამდებობაზე. მხოლოდ ასეთი მობილობის შეუძლებლობის შემთხვევაში იყო დაშვებული მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლება რეორგანიზაციის დროს.

• უკანონო გათავისუფლებისას იძულებითი განაცდურის მხოლოდ ერთი თვე ანაზღაურდება

რეპრესიული კანონით ფაქტიურად უქმდება თანამდებობიდან უკანონოდ გათავისუფლებული პირის სამართლებრივი დაცვის მექანიზმები.

თუკი სასამართლომ რეორგანიზაციის შედეგად საჯარო მოხელის გათავისუფლება უკანონოდ ცნო, გათავისუფლებულ პირს სამსახურში აღდგენის მოთხოვნის უფლება აღარ ექნება და მას მხოლოდ 1 თვის განაცდურს აუნაზღაურებენ.

საჯარო მოხელეთა სამსახურიდან გათავისუფლებისა და კომპენსაციის საკითხი „ქართულმა ოცნებამ“ ბოლო სამი თვის განმავლობაში სამჯერ შეცვალა.

2024 წლის 13 დეკემბრის ცვლილებებით, მხოლოდ ერთი თვით ადრე წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება დაწესდა. 2025 წლის თებერვალში ამ მუხლში კვლავ შევიდა [ცვლილება](#) და **სამი დღით ადრე გაფრთხილება** და ორი თვის კომპენსაციის ვალდებულება დადგინდა. 2025 წლის 1 აპრილს “ქართული ოცნების” წევრებმა მხარი დაუჭირეს [ცვლილებებს](#), რომლითაც ორი თვის კომპენსაცია ერთი თვის კომპენსაციით შეცვალეს. აღსანიშნავია რომ [განმარტებით ბარათში](#) ცვლილებების მიზეზად მითითებულია შემდეგი: „დაიხვეწება თანამდებობიდან გათავისუფლებული მოხელის კომპენსაციის საკითხი“. როგორც ჩანს, „ქართული ოცნება“ საჯარო მოხელეების უფლებრივი მდგომარეობის გაუარესებას მიიჩნევს კომპენსაციის საკითხის დახვეწად.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ადვოკატებმა წლების განმავლობაში არაერთ გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეს გაუწიეს სასამართლოში წარმომადგენლობა და შედეგად, გარდა იმისა, რომ უამრავი მათგანი სასამართლომ უკანონო გათავისუფლებულად ცნო აგრეთვე, დაზარალებულმა საჯარო მოსამსახურეებმა განაცდურის სრული ანაზღაურება მიიღეს. **სულ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მეშვეობით უფლებადარღვეულ მოსამსახურეებს 270 000 ლარზე მეტი აუნაზღაურდათ განაცდურის სახით.**

კანონის ცვლილება მნიშვნელოვნად აუარესებს საჯარო მოხელეების შრომით უფლებებს, აგრეთვე პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს [გადანწყვეტილებას](#) „ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. აღნიშნულ გადანწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ საჯარო სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულ პირს ზიანი სრულად უნდა აუნაზღაურდეს.

„მიყენებული ბარალის ანაზღაურების ვალდებულების დაწესება ხელს უწყობს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა თვითნებობის და ძალაუფლების უკანონოდ გამოყენების პრევენციას“ - აღნიშნულია სასამართლოს გადანწყვეტილებაში.

• დიპლომატიურ სამსახურში მყოფი პირების სამართლებრივი გარანტიები გაუარესდა

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის გაუარესების შემდეგ შეცვალა დიპლომატიური სამსახურის გავლის წესი და გაუარესდა დიპლომატიურ სამსახურში დასაქმებული პირთა უფლებრივი მდგომარეობა.

2025 წლის 27 იანვარს „ქართული ოცნების“ საგარეო საქმეთა მინისტრმა მაკა ბოჭორიშვილმა №01-74 ბრძანებით, ცვლილებები შეიტანა დიპლომატიური სამსახურის გავლის წესში და შესაძლებელი გახადა პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისა და მისი მოადგილის ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დანიშვნა.

ამით დიპლომატიურ სამსახურში მნიშვნელოვან პოზიციაზე მყოფი პირებისათვის (მაგ. სამინისტროში დეპარტამენტის უფროსი და დეპარტამენტის უფროსის მოადგილე) გაუქმდა მნიშვნელოვანი სამართლებრივი გარანტიები. ისინი აღარ მიიჩნევიან უვადოდ დანიშნულ საჯარო მოხელეებად და გათავისუფლებიან მინისტრის გათავისუფლების შემდეგ.

ამ ცვლილებებით საფრთხე ექმნება დიპლომატიური სამსახურის ეფექტურობასა და სტაბილურობას და მინისტრს ეძლევა შესაძლებლობა, პირადი და პარტიული ინტერესით დააკომპლექტოს სამინისტრო.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ „ქართული ოცნების“ მინისტრის ბრძანება ეწინააღმდეგება „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ კანონს, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული შეიძლება იყოს პირი, რომელიც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს ხელს უწყობს თავისი უფლებამოსილებების განხორციელებაში დარგობრივი/სექტორული რჩევების მიცემით, ინტელექტუალურ-ტექნიკური დახმარების გაწევით ან/და ორგანიზაციულ-მენეჯერული ფუნქციების შესრულებით, სამსახურში მიიღება შესაბამისი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადით და რომელსაც არ უკავია დიპლომატიური თანამდებობის პირისთვის, ადმინისტრაციული პერსონალისთვის ან ტექნიკური პერსონალისთვის გათვალისწინებული თანამდებობა.

დიპლომატიურ სამსახურში მყოფი პირებისათვის სამართლებრივი გარანტიების გაუარესება საჯარო სამსახურში რეპრესიების გაგრძელებაა. აქვე აღსანიშნავია, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები იყვნენ ერთ-ერთი პირველი საჯარო მოხელეები, რომელთაც დაგმეს 2028 წლამდე ევროკავშირში გაწევრების მოლაპარაკების გახსნის პოლიტიკური დღის წესრიგიდან ამოღება და ეს საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლის დარღვევად მიიჩნევა.

• **საჯარო მოხელეები ხელმძღვანელის თანხმობის გარეშე სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ვეღარ შეძლებენ**

2025 წლის 1 აპრილს “ქართულმა ოცნებამ” მხარი დაუჭირა ცვლილებებს „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონში და ამ ცვლილებებით საჯარო მოხელეებს სამეცნიერო, პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობა შეუზღუდა.

საჯარო მოხელეები სამეცნიერო, პედაგოგიურ და შემოქმედებით საქმიანობას მხოლოდ შესაბამისი დანესებულების ხელმძღვანელის ან კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის/ორგანოს წერილობითი თანხმობის საფუძველზე შეძლებენ.

ამ წესიდან გამონაკლისს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის წევრი წარმოადგენს.

თანხმობის გარეშე სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა ასევე ეკრძალებათ საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებსაც. საერთო სასამართლოების მოსამართლის შემთხვევაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭო გასცემს თანხმობას მოსამართლის მიერ სამეცნიერო ან პედაგოგიურ საქმიანობის განხორციელებასთან, აგრეთვე, მოსამართლის მიერ სხვა სარგებლის (გარდა კანონმდებლობით აკრძალული სარგებლისა) მიღებასთან დაკავშირებით. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის თანხმობა ჭირდება სამეცნიერო ან პედაგოგიურ საქმიანობის განსახორციელებლად.

აღნიშნული ცვლილება საქართველოს კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაშია. სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის უფლება მოსამართლეებს კონსტიტუციით აქვთ მინიჭებული, ისევე, როგორც პრეზიდენტს, მთავრობისა და პარლამენტის წევრებს.⁵

საჯარო მოხელეებისათვის სამეცნიერო, პედაგოგიურ და შემოქმედებით საქმიანობის შეზღუდვა ეწინააღმდეგება საერთაშორისო აქტებითა და საქართველოს კონსტიტუციით დაცულ შემოქმედების და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას.⁶ საქართველოს კანონიც „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ სწავლების, კვლევის, ხელოვნებისა და შემოქმედების თავისუფლებას გამოხატვის თავისუფლების შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს.⁷

⁵ საქართველოს კონსტიტუცია, 63-ე მუხლი, მე-4 პუნქტი. იხ.: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

⁶ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლები მე-17 და მე-20 იხ. იხ.: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

⁷ საქართველოს კანონი “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ”, მუხლი მე-3, პუნქტი 2. “ე” და “ვ” ქვეპუნქტები. იხ.: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=8>

საჯარო მოხელეებისათვის სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის შეზღუდვა მიზნად ისახავს არა მხოლოდ საჯარო მოსამსახურეების უფლებების შეზღუდვას, არამედ აკადემიური სივრცის კონტროლს.

„ქართულ ოცნებას“ აკადემიური სივრცე, მეცნიერები და პროფესორები დისკომფორტს უქმნის. ჯერ კიდევ, 2023 წელს როდესაც „რუსული კანონი“ პირველად დაინიცირდა, 26 უნივერსიტეტის 200-ზე მეტმა პროფესორ-მასწავლებელმა და მეცნიერმა გაავრცელეს [მიმართვა](#) და ხელისუფლებას მოუწოდეს არ მიიღოთ რუსული კანონი. ამის შემდეგ, აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა პროტესტის არაერთ ფორმას [მიმართეს](#) და პროტესტში ჩართულ სტუდენტებსაც ღიად დაუჭირეს მხარი, რამაც რეპრესიული რეჟიმის გაღიზიანება გამოიწვია. „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრმა [არაერთხელ დააანონსა](#) აკადემიური სივრცის რეპრესიები. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით, 20 იანვრის მთავრობის [სხდომამზე](#) გაუღერდა, როდესაც ირაკლი კობახიძემ **უმაღლესი განათლების რეფორმის სამთავრობო კომისიის** შექმნის შესახებ აცნობა საზოგადოებას.

• რეპრესიული კანონები თეატრებსაც შეეხება

„ქართული ოცნების“ მიერ 2025 წლის 1 აპრილს მიღებული საჯარო სამსახურის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებები პროფესიულ თეატრებსაც ეხება. წარმოდგენილი ცვლილებებით, პროფესიული თეატრის შემოქმედებით საქმიანობას ერთპიროვნულად უხელმძღვანელებს მინისტრის ან მერის მიერ დანიშნული დირექტორი. გაუქმდება სამხატვრო ხელმძღვანელის, როგორც თეატრის საერთო ხელმძღვანელის თანამდებობა.

მოქმედი კანონით თეატრის საერთო ხელმძღვანელობას, მათ შორის შემოქმედებით სფეროში თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ახორციელებს, რომელსაც მინისტრი ან მერი თანამდებობაზე ნიშნავს 4 წლის ვადით **მხოლოდ სარეკომენდაციო საბჭოს ან/და სამხატვრო საბჭოს წარდგინებით**. მის გასათავისუფლებლადაც სარეკომენდაციო საბჭოს მიერ წარდგენილი დასაბუთებული რეკომენდაცია ან თეატრის დასის ან სამხატვრო საბჭოს დასაბუთებული მოთხოვნაა აუცილებელი.

წარმოდგენილი ცვლილებით, თეატრის დირექტორს სახელმწიფო თეატრში მინისტრი, ხოლო მუნიციპალურ თეატრში მერი **საკუთარი შეხედულებით დანიშნავს**. თეატრის დირექტორის გათავისუფლებასაც მინისტრი ან მერი საკუთარი შეხედულებით ახდენს ერთ თვიანი ან სამ დღიანი წინასწარი გაფრთხილების ვადის დაცვით. ერთი თვით წინასწარი გაფრთხილების შემთხვევაში 1 თვის თანამდებობრივ სარგოს, ხოლო 3 დღით ადრე გაფრთხილების შემთხვევაში 2 თვის თანამდებობრივ სარგოს მიიღებს გათავისუფლებული პირი.

კანონის ამოქმედებისთანავე თანამდებობიდან გათავისუფლდებიან თეატრების დირექტორები, რომლებიც ამ პოზიციაზე კანონის ამოქმედებამდე დაინიშნენ.

რეპრესიული კანონების თეატრებზე გავრცელებაც არის ქართული ოცნების პასუხი იმ პროტესტზე რაც უკანასკნელი პერიოდია თეატრებში ხდება. მას შემდეგ რაც “ქართულმა ოცნებამ” ევროპულ კურსს გადაუხვია და არჩევნები გააყალბა თეატრებში სპექტაკლები საპროტესტო ბანერებით სრულდება. თეატრის მსახიობებმა [მოაწყვეს არაერთი](#) მასშტაბური საპროტესტო აქცია. მათი ნაწილი დღემდე გაფიცულია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების, უკანონო დაპატიმრებებისა და ადამიანის უფლებების უხეში დარღვევების გამო. საპროტესტო აქციებში მონაწილეობის გამო ამ დრომდე უსამართლოდაა დაკავებული ახალი თეატრის მსახიობი [ანდრო ჭიჭინაძე](#) და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები

„ქართულმა ოცნებამ“ გადაწყვიტა ამ ცვლილებებით დასაჯოს და საკუთარ კონტროლს დაუქვემდებაროს თეატრის წარმომადგენლები, რომლებიც აქტიურად გამოხატავენ პროტესტს რეჟიმის წინააღმდეგ.

მინისტრის მიერ თეატრის დირექტორების ერთპიროვნული დანიშვნა, რომლებიც ამავე დროს თეატრის შემოქმედებით საქმიანობას უხელმძღვანელებენ არის სახელმწიფოს უხეში ჩარევა შემოქმედებით თავისუფლებაში და შეიცავს სახელმწიფოს მიერ ცენზურის დანესების ნიშნებს.

2024 წლის ნოემბრის ბოლოდან დაწყებული პროტესტების შემდეგ საჯარო დაწესებულებებში პოლიტიკური ნიშნით განხორციელებული რეპრესიები უკვე საგანგაშო მასშტაბებს აღწევს. სხვადასხვა ფორმით შრომის უფლება დაირღვა 700-ზე მეტი საჯარო მოსამსახურის მიმართ, თუმცა ეს მხოლოდ ის შემთხვევებია, რომლებიც საჯარო წყაროებითა და დაზარალებულთა უშუალო მომართვის საფუძველზე გახდა ცნობილი. დაზარალებულთა რაოდენობა დღითიდღე იზრდება, რაც ქმნის შიშისა და თვითცენზურის გაძლიერების საფრთხეს საჯარო სექტორში. ქვემოთ განვიხილავთ ასეთი რეპრესიების ტიპურ შემთხვევებს, რომელთა შესახებაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსთვის“ გახდა ცნობილი და რომლებიც ნათლად წარმოაჩენს პოლიტიკურად მოტივირებული რეპრესიების სისტემურ ხასიათს.

გაუქმებული სამსახურები

🇯🇵 საჯარო სამსახურის ბიურო

„ქართულმა ოცნებამ“ 2025 წლის 20 თებერვალს საჯარო სამსახურის ბიურო [გააუქმა](#) და 40-მდე საჯარო მოხელე უმუშევარი დატოვა.

ბიუროს გაუქმებას წინ უძღოდა რეპრესიული კანონების შესახებ საჯარო სამსახურის ბიუროს თანამშრომლების კრიტიკული [განცხადება](#). საჯარო მოხელეები განცხადებაში აღნიშნავენ, რომ კანონში შეტანილი ცვლილებები სრულად ეწინააღმდეგება საჯარო სამსახურის რეფორმისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის გაცხადებულ სულისკვეთებას, აუარესებს საჯარო მოხელის უფლებრივ მდგომარეობას და საფრთხეს უქმნის უფლების დაცვის სამართლებრივი გარანტიების არსებობას.

რეპრესიული კანონების საპასუხოდ საჯარო სამსახურის ბიუროში, ადამიანური კაპიტალის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, გვანცა ბესელიამ თანამდებობა [დატოვა](#). მისი თქმით, საჯარო სამსახურის კანონის ცვლილებით აზრი დაკარგა ყველაფერმა, რისთვისაც წლების განმავლობაში მუშაობდა.

ამის შემდეგ 2025 წლის 2 თებერვალს „ქართული ოცნების“ მთავრობამ გაავრცელა განცხადება, რომ საჯარო სამსახურის ბიუროს 1 აპრილიდან გაუქმდებოდა. ამ გადაწყვეტილების მიზნად მართვის რაციონალიზაციისა და ხარჯების ოპტიმიზაცია [მიეთითა](#). განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს არაერთი ფუნქცია გამოაკლდა. მათ შორის, ერთ-ერთი თანამდებობის პირთა დეკლარაციებისა კონტროლის ფუნქცია, რომლებიც ანტიკორუფციული ბიუროს რეგულირების სფეროში გადავიდა.

აღსანიშნავია რომ, ქონებრივი დეკლარაციების კონტროლის გარდა საჯარო სამსახურის ბიუროს სხვა არაერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია ჰქონდა, მაგალითად, საჯარო სამსახურის სფეროში სამოქმედო სტანდარტების, ინსტრუქციების, სხვა მეთოდური აქტების, ნორმატიული აქტების შემუშავება. ბიურო კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფდა საჯარო სამსახურში დასაქმების მსურველთა სერტიფიცირებას და აშ. ხოლო რაც შეეხება დეკლარაციების მონიტორინგს, სწორედ ანტიკორუფციული ბიუროსათვის ამ ფუნქციის გადაცემის შემდეგ დეკლარაციების კონტროლის მექანიზმი ფაქტიურად გაუქმდა. **2024 წლის დეკემბრიდან საზოგადოებას თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების ვებგვერდზე წვდომა აღარ აქვს.** ასევე, ანტიკორუფციული ბიურო არ გასცემს საჯარო ინფორმაციის სახით მოთხოვნილ თანამდებობის პირთა ქონებრივ დეკლარაციებს.

ბიუროს გაუქმების შესახებ „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილების შესახებ მედიის საშუალებით გაიგეს საჯარო სამსახურის ბიუროს თანამშრომლებმაც, რადგან გაუქმებამდე არ ჩატარებულა კვლევა და არ ყოფილა შესწავლილი ბიუროს მუშაობის ეფექტურობა. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საჯარო სამსახურის ბიუროს გაუქმება საჯარო მოსამსახურეების მიმართ მათივე პროტესტის საპასუხოდ დაწყებული რეპრესიების ერთ-ერთი უკიდურესი ფორმა, სწორედ იმ უწყების საწინააღმდეგოდ გამოიყენეს, რომლის პირდაპირი ფუნქციაა საჯარო სამსახურში ღირსეული, პროფესიონალური და ნეიტრალური გარემოს ჩამოყალიბება და დამკვიდრება, და რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი იყო საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე.

საჯარო სამსახურის ბიუროს გაუქმებას [განცხადებით](#) გამოეხმაურნენ არასამთავრობო ორგანიზაციებიც.

🚩 პარლამენტის კვლევითი ცენტრი

2025 წლის 6 თებერვალს ქართული ოცნების პარლამენტმა, რეგლამენტში შეტანილი ცვლილებებით პარლამენტი კვლევით ცენტრი [გააუქმა](#) და [21 საჯარო მოხელე](#) სამსახურის გარეშე დატოვა.

პარლამენტის კვლევითი ცენტრის გაუქმებაც მისი თანამშრომლების აქტიურობასა და სამოქალაქო პროტესტში ჩართვას უკავშირდებოდა.

საერთაშორისო პრაქტიკის კვლევების ცენტრის ყოფილმა ხელმძღვანელმა სალომე ნატროშვილმა [„რადიო თავისუფლებასთან“](#) ინტერვიუში დაადასტურა, რომ ლიკვიდაცია მისი და რამდენიმე კოლეგის საჯარო კრიტიკას უკავშირდება და მათ ცენტრის დირექტორმა შეხვედრისას პირდაპირ განუცხადა ამის შესახებ. პარლამენტის კვლევითი ცენტრის გაუქმების თარიღიც ცენტრის თანამშრომლებმა მედიიდან შეიტყვეს.

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ 3 აპრილს შალვა პაპუაშვილმა პარლამენტის 11 სტრუქტურული ერთეულის [რეორგანიზაცია გამოაცხადა](#), რომლის მიზანიც „საქართველოს პარლამენტის აპარატის სისტემური, ეფექტიანი მმართველობის“ უზრუნველყოფაა.

🚩 სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იუსტიციის სახლი, პრობაციის ეროვნული სააგენტო

„საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“, „იუსტიციის სახლი“ და „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“ იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები არიან. დეკემბრის დასაწყისში, მას შემდეგ რაც „ქართულმა ოცნებამ“ ქვეყნის ევროინტეგრაცია შეჩერებულად გამოაცხადა, სამივე დაწესებულების თანამშრომლებმა გაავრცელეს საპროტესტო განცხადება, რომლითაც ევროკავშირში განევრიანების შეჩერება ანტიკონსტიტუციურ ნაბიჯად გამოაცხადეს, განცხადებას ხელს აწერდა ასობით თანამშრომელი.⁸

საპროტესტო განცხადებების გავრცელების შემდეგ, დეკემბერში დაიწყო როგორც საჯარო რეესტრის, აგრეთვე იუსტიციის სახლის თანამშრომელთა გათავისუფლება. მას შემდეგ რაც „ქართულმა ოცნებამ“ 13 დეკემბერს მიიღო რეპრესიების ხელისშემწყობი ცვლილებები „საჯარო სამსახურის შესახებ კანონში“ საშუალო რგოლის ხელმძღვანელები 30 დეკემბრიდან ავტომატურად ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულად ჩაითვალა. შედეგად, **იუსტიციის სახლის** თავმჯდომარემ, **ლამა ლობჯანიძემ** დეკემბრის ბოლოს ჯერ შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსს **თათია უდესიანს**

⁸ იუსტიციის სახლის თანამშრომლებმა [განცხადება](#) 29 ნოემბერს გაავრცელეს, მას 601 თანამშრომელი აწერს ხელს; სოციალური მუშაკების [განცხადებას](#) 168 პირი აწერს ხელს მათ შორის პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებიც; 11 ხელმოწერილი ჰყავს განრიდებისა და მედიაციის დეპარტამენტის მედიატორების [განცხადებას](#); საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებმა განცხადება 1 დეკემბერს გაავრცელა და მას 300-ზე მეტი თანამშრომელი [აწერდა ხელს](#), განცხადება ამ მომენტისთვის ხელმისაწვდომი აღარ არის, დეტალურად.

და კიდევ სამ მენეჯერს (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს) ყოველგვარი საფუძვლის გარეშე შეუწყვიტა შრომითი ხელშეკრულება.⁹ სამივე მათგანი ევროინტეგრაციის მხარდამჭერი განცხადების ხელმომწერები იყვნენ. მოგვიანებით, თავად ლობჯანიძეც გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, რითაც ამოქმედდა კანონის ახალი რეგულაცია, რა დროსაც ხელმძღვანელის გათავისუფლებისას ადმინისტრაციული ხელშეკრულება უწყდება მათ ქვემდგომ პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებსა და მათ მოადგილეებს. ამის შედეგად ხელშეკრულება შეუწყდა და ახალი ხელშეკრულება არ გაუფორმეს **ბათუმის, რუსთავის და ლაგოდეხის იუსტიციის სახლის ხელმძღვანელებს [ერეკლე თურმანიძეს](#), [ნინო ელიაურს](#) და [ივანე ყაველაშვილს](#)**. თურმანიძე და ყაველაშვილი საპროტესტო განცხადების ხელმომწერები იყვნენ.

პრობაციის ეროვნული სააგენტოდან 2024 წლის დეკემბრიდან პოლიტიკური ნიშნით ათამდე თანამშრომელი გაათავისუფლეს. იმის ფონზე, რომ ქვეყანაში რამდენიმე წელია სოციალური მუშაკების [დეფიციტი არსებობს](#), სააგენტოდან ოთხი სოციალური მუშაკი ხელშეკრულების ვადის გასვლის საბაბით [გათავისუფლეს](#). სოციალურ მუშაკს, მარიამ სირაძეს, 25 დეკემბერს შეატყობინეს, რომ 1 იანვრიდან ხელშეკრულებას აღარ გაუგრძელებდნენ. მას მუშაობის პერიოდში შენიშნაც არ ჰქონდა მიღებული და რამდენიმე დღით ადრე ახალი ბენეფიციარებიც [დაუმატეს](#). 25 დეკემბერს შეატყობინეს, რომ 1 იანვრიდან კონტრაქტი აღარ გაუგრძელებოდა სააგენტოს განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მედიატორს [გიორგი აბულაძესაც](#), ის ამ გადაწყვეტილებას მედიატორების საერთო საპროტესტო [განცხადებაზე](#) ხელმონერას [უკავშირებს](#). იმავე დღეს გათავისუფლების შესახებ შეატყობინეს სააგენტოს, დანაშაულის პრევენციის ცენტრის ფსიქოლოგს [სოფო აბულაძესაც](#), გადაწყვეტილებას ისიც მის სამოქალაქო პოზიციას უკავშირებს.

გათავისუფლებული თანამშრომლების თქმით გადაწყვეტილებების შესახებ დეპარტამენტის უფროსებს ინფორმაცია არ ჰქონდათ. მოგვიანებით ხოლო მათ მცდელობას, გამოსარჩლებოდნენ თანამშრომლებისთვის ხელშეკრულების გაუგრძელებლობას, მათივე გათავისუფლება მოჰყვა. ჯერ, კანონის ახალი ჩანაწერის გამოყენებით დეპარტამენტის უფროსები ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაზე გადაიყვანეს, ხოლო შემდეგ, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე¹⁰ სამი მათგანი გაათავისუფლეს: განრიდებისა და მედიაციის დეპარტამენტის უფროსი, [კობა ბარამია](#), პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის დეპარტამენტის უფროსი [ნინო ტყემელაშვილი](#) და არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის უფროსი [ნათია ალიაშვილი](#). ისინი გათავისუფლებას ქვეყნის ევროინტეგრაციის შეჩერების გამო საჯაროდ გამოხატულ კრიტიკულ პოზიციას [უკავშირებს](#).

გაცილებით მასშტაბური იყო რეპრესიები საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. **დეკემბრის ბოლოს საპროტესტო განცხადებაზე ხელმომწერ ათობით თანამშრომელს მიუვიდა შეტყობინება გათავისუფლების შესახებ.** „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსთვის“ 50-ზე მეტი გათავისუფლებულის შესახებ არის ცნობილი, რეალურად კი მათი რაოდენობა გაცილებით მეტია. გათავისუფლების ფორმალური საფუძველი არის უარი შრომითი ხელშეკრულების გაგრძელებაზე, მაშინ როდესაც გასულ წლებში ხელშეკრულება ფაქტიურად ავტომატურად უგრძელებოდათ. ხელშეკრულების გაუგრძელებლობის შესახებ შეტყობინება საჯარო მოსამსახურეთა დიდმა ნაწილმა 31 დეკემბერს მიიღო, რაც კიდევ დამატებით უსვამს ხაზს, რომ მათი გათავისუფლება სადამსჯელო ღონისძიება იყო თანამშრომელთა მიერ გავრცელებული განცხადების საპასუხოდ.

⁹ საფუძვლად „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტი იყო მითითებული, რაც ადგენს, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, რის თაობაზედაც 1 თვით ადრე უნდა ეცნობოს მეორე მხარეს (6 თებერვლის ცვლილებებით კი 3 დღით ადრე გაფრთხილებაც საკმარისია).
¹⁰ მსგავსად „იუსტიციის სახლში“ განხორციელებული პრაქტიკისა აქაც საფუძვლად იქნა მითითებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რაც გულისხმობს ხელშეკრულება შეწყვეტას ერთ-ერთი მხარის ინიციატივით.

🚩 თბილისის მერია და სხვა მუნიციპალიტეტები

თბილისის მერიის და მის მმართველობის სფეროში არსებულმა საჯარო სამართლის იურიდიული პირების 200-ზე მეტმა თანამშრომელმა 30 ნოემბერს ევროინტეგრაციის მხარდამჭერი [განცხადება](#) გაავრცელა. განცხადებას კაბა კალაძემ თვითლუსტრაცია [უნოდა](#) და დასძინა, რომ მერიაში უკვე დაწყებულია რეორგანიზაცია და ცვლილებები იგეგმება. მისი განცხადება წარმოადგენდა ანონსს, რომ უკვე გამოცხადებული რეორგანიზაცია გამოყენებული იქნებოდა მერიის სისტემაში პოლიტიკური ნიშნით თანამშრომლების დასჯისთვის. კალაძის მუქარა განცხადების ხელმძღვანელი საჯარო მოსამსახურეების მიმართ გაგრძელდა 4 დეკემბერსაც, როდესაც მერიის თანამშრომელთა პოზიციას „სახელმწიფო გადატრიალების და უწყებების ჩამოშლის მცდელობა“ უწოდა და [დააანონსა](#), რომ რომ „საბოტაჟის მცდელობა არ დარჩებოდა პასუხგაუცემელი“. 25 მარტს, მას შემდეგ რაც თბილისის მერიიდან ათეულობით ადამიანი უკვე გაათავისუფლეს, კალაძემ ფაქტიურად დაადასტურა, რომ გათავისუფლები პოლიტიკური ნიშნით მიდინარეობს, მისი [თქმით](#) „შენ [მერიის თანამშრომელს] თუ არ მოგწონს ის პოლიტიკა, რომელსაც ჩვენ ვატარებთ, შენ თუ არ მოგწონს ის, რასაც მე ვაკეთებ ქალაქისთვის, აბსოლუტურად გაუგებარია, დილით ჩემთან ერთად აკეთებდე თბილისის საქმეებს და საღამოს მაკრიტიკებდა და ძირს მითხრიდე“.

კალაძის განცხადებას მალევე მოჰყვა მერიაში განცხადებაზე ხელმძღვანელთა გათავისუფლებების დაწყება. ამ ეტაპისთვის უწყებიდან ათზე მეტი თანამშრომელია გათავისუფლებული. გათავისუფლებული მოსამსახურეები, მათ შორის ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურში შშმ პირთა პროგრამების ყოფილი კოორდინატორი [გიგა სოფრომაძე](#) და იურიდიული საქალაქო სამსახურის ყოფილი თანამშრომელი [ქრისტინე ჩუბინიძე](#) საუბრობენ, საპროტესტო განცხადებაზე ხელმძღვანელ თანამშრომლებზე დაწყებულ ბენოლაზე, მათ საკუთარი ხელმოწერების გახმობას სთხოვენ. ეს დასტურდება ხელმძღვანელთა სიის [დოკუმენტიდანაც](#), რომელსაც 240-მდე ხელმოწერა ჰქონდა, ამ მომენტისთვის კი 169 ადამიანი აწერს ხელს.

თბილისის მერია აგრძელებს თანამშრომლების შემცირებას და რეორგანიზაციის პროცესს. საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის დადგენილებაში შეტანილი ცვლილებების თანახმად, რომელიც 2025 წლის 17 მარტიდან ამოქმედდება, მერიის სტრუქტურულ ერთეულებში ჯამში 17 საშტატო ერთეული უქმდება. ეს ცვლილებები გავლენას ახდენს რამდენიმე სამსახურზე: მერიის ადმინისტრაციაში საშტატო ნუსხა 117-დან 112 თანამშრომელამდე შემცირდა; ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურში 2 კადრით ნაკლები, 24 ადამიანი იმუშავებს; გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში საშტატო ერთეულების რაოდენობა 3-ით შემცირდა და 42 შეადგინა; კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში ასევე 3 საშტატო ერთეული გაუქმდა და 37 დარჩა; ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურში კი 4 საშტატო ერთეულით ნაკლები, 56 ადამიანია გათვალისწინებული.

რეორგანიზაციის შედეგად ორი თანამშრომელი გაათავისუფლეს **კულტურის, სპორტის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის** კულტურის პროექტებისა და პროგრამებს ოთხშტატიანი განყოფილებიდან. გათავისუფლებულებს შორისაა უფროსი სპეციალისტი [ანა კომლაძე](#), რომელიც მერიის თანამშრომლების ერთობლივი განცხადების ხელმძღვანელი იყო. მისი გათავისუფლება „ქართული ოცნების“ პროპაგანდისტულმა ტელევიზიამ, „იმედმა“, თავის Facebook გვერდზე შემდეგნაირად [გაამუქა](#): „თბილისის მერიის თანამშრომელი, რადიკალური ოპოზიციის მხარდამჭერი და აქციების აქტიური მონაწილე ანა კომლაძე სამსახურიდან გაათავისუფლეს.“ 14 მარტს რეორგანიზაციის შედეგად გათავისუფლების შესახებ აცნობეს მერიის იმავე სამსახურის უფროს სპეციალისტს [თამთა კაჭახიძეს](#).

7 მარტს გათავისუფლების შესახებ აცნობეს ევროინტეგრაციის მხარდამჭერი განცხადების კიდევ ერთ ხელმძღვანელს, [მარიამ კანდელაკს](#), რომელიც თბილისის მერიის ა(ა)იპ „**მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოში**“, მოქალაქეთა მომსახურების ოპერატორად მუშაობდა.

მისი თქმით, მისი დეპარტამენტიდან დაახლოებით 50 ადამიანი მუშაობს, თუმცა მხოლოდ ის გაათავისუფლეს. კანდელაკი აღნიშნავს, რომ სააგენტოში კადრების დეფიციტია მოქალაქეთა მაღალი მიმართვიანობის გამო. მარიამ კანდელაკს ოთხი შვილი ჰყავს, რომელთაგან ერთი აუტისტური სპექტრის მქონეა, რაზეც მერია ინფორმირებული იყო.

14 მარტს მერიის „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოდან“ რეორგანიზაციის შედეგად გაათავისუფლების შესახებ ბრძანება გააცნეს მრავალი წლის სტაჟის მქონე თანამშრომლებს [სალომე მაჭარაშვილს](#) და [თინათინ კიკნაველიძეს](#). იმავე დღეს აცნობეს გაათავისუფლების შესახებ [ჰაბა ქარელსაც](#), რომელიც **მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის** ბიზნესის განვითარებისა და ინოვაციების ხელშეწყობის განყოფილების უფროს სპეციალისტად მუშაობდა. სამივე გაათავისუფლებულს ხელი ჰქონდა მონერილი ევროინტეგრაციის მხარდამჭერ საჯარო განცხადებისთვის.

14 მარტს გაათავისუფლების შესახებ აცნობეს [ლიანა დავითაძესაც](#), მერიის აპარატის **საერთაშორისო უფროსების განყოფილების ხელმძღვანელს**. გაათავისუფლების საფუძველია რეორგანიზაცია, რომლის შედეგადაც მერიაში გაუქმდა საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება, რომელიც მრავალი წელია არსებობს. ლიანა დავითაძის განცხადებით, **განყოფილებიდან გაათავისუფლდა ის ოთხი თანამშრომელი**, რომლებმაც ევროინტეგრაციის მხარდამჭერ საჯარო განცხადებას მოაწერა ხელი, ხოლო განყოფილების ერთადერთი თანამშრომელი, რომელმაც განცხადებას ხელი არ მოაწერა, განყოფილების გაუქმებამდე სხვა სტრუქტურულ ერთეულში გადაიყვანეს, რითაც მას სამსახური შეუნარჩუნეს. 14 მარტს მერიაში მუშაობის ოცდათერთმეტწლიანი სტაჟის შემდეგ რეორგანიზაციის საბაბით გაათავისუფლეს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ლიკა ლალიძე, რომელიც გადამწყვეტილებას ცალსახად უკავშირებს მის მიერ ევროინტეგრაციის განცხადებაზე ხელმოწერას. ჯერ კიდევ საჯარო განცხადების გამოქვეყნების შემდეგ, ის დაიბარა ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახურის უფროსმა და ახსნა-განმარტება მოთხოვა და აგრეთვე შეახსენა, რომ ის არ ყოფილა „ქართული ოცნების“ მიერ გამართულ არცერთ აქციაზე.

17 მარტს რეორგანიზაციის შედეგად შტატის გაუქმების საფუძველით მთანმინდის რაიონის გამგეობიდან [მზიკო ბეღია](#) გაათავისუფლეს. ის აქტიურად მონაწილეობს საპროტესტო აქციებში.

20 მარტს შვიდწლიანი თანამშრომლობის შემდეგ თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურიდან გაათავისუფლეს ევროინტეგრაციის საჯარო განცხადებაზე ხელმოწერი [ნუცა ბრეგვაძე](#).

3 და 4 აპრილს კახა კალაძის განკარგულებით თბილისის მერიის დაქვემდებარებაში მყოფი ორი ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელი გაათავისუფლეს. ორივე გაათავისუფლების გადამწყვეტილებას ფორმალურ საფუძველად მერის მოადგილის, ანდრია ბასილაიას მოხსენებითი ბარათი აქვს მითითებული. 3 აპრილს გაათავისუფლების შესახებ აცნობეს [ნინო სანადირაძეს](#), ა(ა)იპ „**მუზეუმების გაერთიანების**“ გენერალური დირექტორს, რომელიც ამ პოსტზე 2016 წლიდან მუშაობდა. ხოლო 4 აპრილს ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების“ ხელმძღვანელი [ნინია მაჭარაშვილს](#). გაათავისუფლების საფუძველად მითითებულ, ბასილაიას მოხსენებითი ბარათში აღნიშნულია, რომ მან ისარგებლა ანაზღაურებადი და არაანაზღაურებადი შვებულებით და ამის თაობაზე მერია არ გაუფრთხიებია. ნინია მაჭარაშვილის თქმით მისი მხრიდან გაგზავნილია შესაბამისი შეტყობინება ელექტრონული ფოსტით, ასევე შვებულების მოთხოვნა ატვირთულია პროგრამულადაც. გარდა ამისა, იგი იხსენებს, რომ დეკემბერში მერიის კულტურის სამსახურის უფროსმა ირაკლი გვილაავამ პირდაპირ სთხოვა თანამდებობის დატოვება შეუთავსებელი პოლიტიკური ხედვების გამო, ეს ფაქტი კიდევ უფრო აშკარად ხდის, რომ გაათავისუფლების შესახებ გადამწყვეტილება პოლიტიკური მოტივებითაა მიღებული.

საკადრო ცვლილებები და უკანონო საჯარო მოხელეების გათავისუფლება **სიღნაღის, ლაგოდეხისა და ადიგენის** მუნიციპალიტეტებსაც შეეხო, საიდანაც ჯამში 4 საჯარო მოხელე უკანონოდ გაათავისუფლეს. აღსანიშნავია, რომ **სიღნაღში** საჯარო მოსამსახურეები მანანა ჯავაშვილი და მისი მეუღლე, მალხაზ მოლაშვილი, **ერთ დღეს გაათავისუფლეს** სამსახურიდან. ჯავაშვილი სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის წინორის ტერიტორიულ ორგანოში მუშაობდა სპეციალისტად, მოლაშვილი — კი სიღნაღის საკრებულოს აპარატის უფროსი. მალხაზ მოლაშვილის **თქმით** მას 2025 წლის 13 იანვარს დაუდეს ერთ თვიანი ხელშეკრულება პირველი იანვრიდან 31 იანვრის ჩათვლით და ხელშეკრულების ვადის გასვლიდან გამომდინარე, სამ თებერვალს საკრებულოს თავმჯდომარემ ტელეფონით აცნობა, რომ ხელშეკრულება აღარ გაუგრძელდებოდა შვილების ჩემგან განსხვავებული პოლიტიკური მოსაზრებებისა და თბილისში მიმდინარე აქციებზე დგომის გამო.

ლაგოდეხის საკრებულოს აპარატიდან ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარის გამო 31 იანვარს გაათავისუფლეს ბახვა შაიშმელაშვილი, ირაკლი შაიშმელაშვილის¹¹ ძმა. ის საკრებულოში ვიდეო ოპერატორის და მემონტაჟის პოზიციაზე მუშაობდა. მიუხედავად იმისა, რომ მის გათავისუფლებას ლაგოდეხის საკრებულოს თავმჯდომარე ტექნიკური მიზეზებით **ხსნის**, მაღალია ალბათობა იმისა, რომ ბახვა შაიშმელაშვილი მისი ძმის პოზიციის გამო ისჯებოდეს.

ქალაქ ბათუმის ა(ა)იპ „ბათუმის მერიის სპორტული ცენტრიდან“ გაათავისუფლეს ქორეოგრაფი **მალხაზ ირემიძე**. ის პროევროპულ აქციებში მონაწილეობს, 12 იანვარს ბათუმის პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობასთან, საპროტესტო აქციაზე დააკავეს. მას ადმინისტრაციული 5-დღიანი პატიმრობა ჰქონდა შეფარდებული.

თავდაცვის სამინისტრო

თავდაცვის სამინისტროში განხორციელებული ბოლოდროინდელი საკადრო ცვლილებები პოლიტიკური რეპრესიების ნიშნებს შეიცავს, **გათავისუფლებულია ათამდე თანამშრომელი, თუმცა პროცესი სულ უფრო მასშტაბურ სახეს იღებს.**

იანვარში სამინისტროში რეორგანიზაცია დაიწყო, რომლის რეალური მიზეზიც ჩვენი შეფასებით პოლიტიკური ნიშნით თანამშრომელთა **მასშტაბური გათავისუფლებისთვის** არალეგიტიმური საფუძვლების შექმნაა. თებერვლის ბოლოს რეორგანიზაციის საფუძვლით უკვე გაათავისუფლეს **ხუთი თანამშრომელი**, ყველა მათგანი ევროინტეგრაციის შეჩერების საკითხზე უწყების წარმომადგენლების მიერ გავრცელებულ ერთობლივ **განცხადების** ხელმოწერია. გათავისუფლებულთა შორისაა საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის, პერსონალურ მონაცემთა განყოფილების **თანამშრომლები**.

არასასურველ თანამშრომელთა გათავისუფლების გაადვილებას ემსახურება 24 იანვარს თავდაცვის მინისტრის მიერ მიღებული **ბრძანება**, რომლითაც სამხედრო პოლიციის თანამშრომლებისთვის დაწესდა ზღვრული ასაკი (55, 60 და 65 წელი, წოდების მიხედვით), რაც კანონის და კონსტიტუციის უხეში დარღვევაა. ამ შინაარსის ბრძანება სცდება მინისტრის უფლებამოსილების ფარგლებს, რადგან საჯარო მოსამსახურეთა სამსახურიდან გათავისუფლების ასაკობრივი ზღვრის დადგენა მხოლოდ კანონის პრეროგატივაა. გარდა ამისა, დაწესებული ზღვრული ასაკი მოკლებულია ყოველგვარ რაციონალურ დასაბუთებას და არ ემსახურება არცერთ ლეგიტიმურ მიზანს, გარდა კვალიფიციური და გამოცდილი კადრების, შესაძლოა, პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციისა და სამსახურიდან ჩამოშორებისა.

¹¹ ირაკლი შაიშმელაშვილი, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ოპერატიული დაგეგმვის სამმართველოს ყოფილი უფროსია, რომელიც სამსახურიდან 3 დეკემბერს წამოვიდა, როცა სახელმწიფო განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდა დემონსტრანტებს რუსთაველის გამზირზე. შაიშმელაშვილი **საუბრობს** მსს-ში არსებულ სისტემურ პრობლემებზე. ის ამჟამად შეერთებულ შტატებში სპეციალური პროტოკოლით იმყოფება.

რეორგანიზაციის დაწყებამდე გაათავისუფლეს სამი ადამიანი, მათ შორის სამხედრო ძალებიდან ორი პირი და სამოქალაქო ოფისის დეპარტამენტის უფროსი. აგრეთვე სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ კომუნიკაციების და პროტოკოლის სამსახურის სამმართველოს უფროსს მარიამ თაყაიშვილს [შესთავაზეს](#) დაბალ პოზიციაზე გადასვლა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის გაათავისუფლდებოდა დაკავებული თანამდებობიდან, საფუძველი — სამსახურის შესაძლო გაუქმება.

🚩 სხვა უწყებები

გარდა ჩამოთვლილი უწყებებისა პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლებებს ადგილი ჰქონდა სხვა საჯარო დაწესებულებებშიც მათ შორის:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტიდან სამი ლექტორი გაათავისუფლეს. 10 მარტს გაათავისუფლეს ასოცირებული პროფესორი [გიორგი ცერცვაძე](#) და პროფესორი [ირინე ხერხეულიძე](#). იმავე ფაკულტეტზე 8 წლიანი უწყვეტი სტაჟის შემდეგ კი ხელშეკრულება აღარ გაუფორმეს მონვეულ ლექტორ [თამარ ტატანაშვილს](#).

ცენტრალური საარჩევნო კომისია. საარჩევნო ადმინისტრაციაში რეორგანიზაცია 2024 წლის 16 დეკემბერს დაიწყო და უწყებამ წინმსწრებად გაავრცელა [განცხადება](#), რომ აპირებდნენ შტატების შემცირებას და ამას პოლიტიკური საფუძველი არ ჰქონდა, თუმცა გაათავისუფლებულთა შორის ძირითადად ის თანამშრომლები აღმოჩნდნენ, რომლებმაც ღიად დააფიქსირეს პოზიცია ქვეყნის საგარეო კურსისა და 28 ნოემბრის შემდეგ დაწყებულ საპროტესტო აქციებზე განვითარებული მოვლენების შესახებ. საკადრო ცვლილებები შეეხო და სამსახურიდან გაათავისუფლეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ჯამში [6 თანამშრომელი](#).

საზოგადოებრივი მაუწყებელი. 21 მარტს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ცალკეულმა წევრებმა [იმსჯელეს](#) მათი ჟურნალისტების – ვასილ ივანოვ-ჩიქოვანის, ნინო ბაუტაშვილის, კახა მელიქიძისა და გია იმნაიშვილის კრიტიკულ განცხადებებზე. საპასუხოდ ადეკვატური რეაგირების ნაცვლად, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერმა საბჭოს წევრებმა, მათ შორის თავმჯდომარემ ვასილ მალაფერიძემ, გრიგოლ (გია) მურღულიამ, გიორგი კობრეიძემ, თამილა დოლიძემ, ბონდო მძინარაშვილმა, იზაბელა ოსიპოვამ, გიორგი იაკობაშვილმა და სოსო სტურუამ, პროკურატურის ჩართულობა და აღნიშნული ჟურნალისტების საქმის შესწავლა მოითხოვეს.

23 მარტს კონტრაქტის გაუგრძელებლობის შესახებ გახდა ცნობილი [ანი ჯობავასთვის](#), რომელიც პირველი არხის დილის გადაცემის ჟურნალისტი იყო. ის არხზე შვიდი წლის განმავლობაში მუშაობდა და მიიჩნევს, რომ გაათავისუფლების მიზეზი მის მიერ გამოხატული განსხვავებული აზრი იყო. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ხარჯების ოპტიმიზაციის მოტივით არ გაუგრძელა შრომითი კონტრაქტი წევრს, [ანა მეტრეველს](#), რომლის ხელფასი 490 ლარს შეადგენდა და რომლის უშუალო პროდიუსერებიც აცხადებენ, რომ ყოველდღიურად სჭირდებათ ასისტენტი რადიოეთერების ორგანიზებისთვის. ანა მეტრეველი „საზოგადოებრივი მაუწყებლის მცველების“ წევრია, რომლებიც აქტიურად აპროტესტებენ ტელევიზიაში მიმდინარე პროცესებს.

ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ თანამშრომელს, მარიამ პერტიას 10 წლიანი მუშაობის შემდეგ ხელშეკრულება აღარ [გაუგრძელეს](#), მარიამ პერტია ამ ფაქტს მის სამოქალაქო პოზიციას უკავშირებს. ორი თანამშრომელი გაათავისუფლეს [აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროდან](#).

31 დეკემბერს [აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტიდან](#), რომელიც აჭარის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებაა, გაათავისუფლეს [თამარ ლომაძე](#). ლომაძის თქმით წინა დღეებში მას კითხეს იცვლიდა თუ არა ის პოზიციას და ივლიდა თუ არა ისევ აქციაზე. გაათავისუფლების საფუძველი ხელშეკრულების ვადის ამონურვა და ახალი ხელშეკრულების გაფორმებაზე უარია.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანამშრომელი, მიხეილ ვალაშვილი, 10 იანვარს სამსახურიდან გაათავისუფლეს სატელეფონო ზარით, ოფიციალურად ხელშეკრულების ვადის ამოწურვის მიზეზით, თუმცა, როგორც თავად აღნიშნავს, რეალური მიზეზი იყო მისი *პროტესტი ხელისუფლების მიერ კონსტიტუციისა და მისი დებულებების უხეში დარღვევის გამო*. თანამშრომელი, რომელიც რამდენიმე თვით ადრე დააწინაურეს და რომლის მიმართაც არ არსებობდა არცერთი საჩივარი თუ შენიშვნა, აპირებს სამართლებრივი ზომების მიღებას.

მთავრობის ადმინისტრაციამ რეორგანიზაციის საფუძვლით გააუქმა სამთავრობო საინფორმაციო გამოცემა agenda.ge, რომელიც 2013 წლიდან ავრცელებდა ინგლისურ ენაზე ინფორმაციას მთავრობის საქმიანობის და აქტივობების შესახებ. ვებგვერდის გაუქმებასთან ერთად სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის ინგლისურენოვან განყოფილებაში მომუშავე [ათივე ადამიანი გაათავისუფლეს](#).

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომელი დავით ქანთარია 31 დეკემბერს გაათავისუფლეს სამსახურიდან, ამ შემთხვევაშიც ოფიციალურად ხელშეკრულების ვადის ამოწურვის მიზეზით, ის ერთ-ერთი ხელმოწერი იყო განცხადებისა, რომელიც აპროტესტებდა ევროკავშირში განწევრიანების მოლაპარაკებების შეჩერებას და მშვიდობიანი მომიტინგეების მიმართ ძალის არაპროპორციულ გამოყენებას.